
მაღლობის გამოცხადება

ავადმყოფობათა საერთაშორისო სტატისტიკურ კლასიფიკაციათა პერიოდულ გადასინჯვას 1948 წლის მეექვსე გადახედვის შემდგომ კოორდინაციას უწევს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. იმის გამო, რომ კლასიფიკაცია სულ უფრო ფართოდ გამოიყენება, შესაბამისად გაიზარდა მომხმარებელთა შორის გადასინჯვის პროცესში მონაწილეობის მსურველთა რიცხვიც. მეათე გადახედვა ინტენსიური საერთაშორისო აქტივობის, თანამშრომლობის და ურთიერთშეთანხმების პროდუქტს წარმოადგენს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მაღლობას უხდის მრავალრიცხოვან საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებს და მრავალი ქვეყნის ცალკეულ სპეციალისტს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს გემოაღნიშნული გადასინჯვის საყოველთაო პროცესში.